ქართული ვაშლი გლობალურ კონტექსტში: განვითარების შესაძლებლობები

საქართველოში წარმოებული ვაშლის ექსპორტის ღირებულება, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2025 წელს, ექსპორტზე გავიდა რეკორდული, 14.0 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (20.6 ათასი ტონა) ვაშლი (რაც 2.4-ჯერ აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს). მზარდია საშუალო საექსპორტო ფასიც, 2025 წლის მონაცემებით, 1 კგ-ის ფასმა 0.68 აშშ დოლარს მიაღწია. ასვე, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ვაშლის შენახვა-გადამუშავების ინფრასტრუქტურა, რამაც ექსპორტის უწყვეტობას და ხარისხის სტაბილურობას შეუწყო ხელი.

2024 წლის მონაცემებით, საქართველოდან ვაშლის ექსპორტი ხორციელდება 31 კომპანიის მიერ. ექსპორტირებული ვაშლის 95% რუსეთის ბაზარზე გადის, ასევე, მცირე რაოდენობის ვაშლი ექსპორტირებულია თურქეთში, სომხეთში, ბელარუსში, ერაყსა და ყაზახეთში.



ვაშლის წარმოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინტენსიური ბაღების გაშენება. 2015-2025 წლებში, საქართველოში, „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში, ჯამურად გაშენდა 2.3 ათასი ჰექტარი ვაშლის ბაღი. ახალ ბაღებში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა და ხარისხი გაცილებით მაღალია, რაც საბაზრო ფასზეც აისახება.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოში ვაშლის წარმოების მაჩვენებელი 19.7-89.0 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობს. 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, 52%-ით გაიზარდა ვაშლის წარმოება და 76.4 ათას ტონას მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური ბაღებისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მეწლეურობა ეტაპობრივად მცირდება, მისი სრულად აღმოფხვრა კვლავ გამოწვევად რჩება. მეწლეურობის შემცირება მიიღწევა მცენარის დატვირთვის ოპტიმიზაციითა და აგროტექნიკური მართვის გაუმჯობესებით, რაც ხელს უწყობს მომდევნო წლის ყვავილოვანი კვირტების ფორმირებას. შედეგად იზრდება მოსავლის სტაბილურობა და ნაყოფის ხარისხი.

გლობალური ბაზრის ტენდენციები ცხადყოფს, რომ გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისთვის სექტორის განვითარება აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ბაზრის მოთხოვნებზე და დივერსიფიკაციაზე დაყრდნობით. მსოფლიო ბაზარზე ვაშლის მიმართ მოთხოვნა სულ უფრო მეტად არის ორიენტირებული მაღალხარისხიან,

ვიზუალურად ერთგვაროვან და ხანგრძლივი შენახვის უნარის მქონე პროდუქტზე. იზრდება ინტერესი განსხვავებული ფერისა და გემური მახასიათებლების მქონე ჯიშების მიმართ, ასევე ერთ-ერთი მოთხოვნაა სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა მთელი წლის განმავლობაში.

ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტაციის შესაძლებლობით. ვაშლის წარმოების თანამედროვე მიდგომები ეფუძნება - მაღალი სიმჭიდროვის ინტენსიურ ბაღებს, სერტიფიცირებულ სარგავ მასალას, წვეთოვან სარწყავ სისტემებს, კლიმატურ რისკებზე მორგებულ მართვას და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს პროდუქციის სტაბილურ ხარისხს, ზრდის მოსავლიანობას და ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს.

ფერმერთა მიერ თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს ვაშლის წარმოების ხარისხის გაუმჯობესებისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის აუცილებელ პირობას, რისთვისაც სახელმწიფო სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების მეშვეობით სთავაზობს შესაბამის განვითარების შესაძლებლობებს.

ვაშლის ექსპორტის დივერსიფიკაცია აუცილებელია საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური რისკების შემცირებასთან.

არსებული ტენდენციებით, მზარდი წარმოებით, ტექნოლოგიების განვითარებით და ახალი ბაზრების ათვისებით საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა ვაშლის ექსპორტის ზრდის და ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით.

საქართველოში წარმოებული ვაშლის ბაზრების დივერსიფიკაცია სავსებით რეალურია, რა დროსაც მხედველობაში უნდა მივიღოთ სამიზნე ბაზრების მაღალი იმპორტდამოკიდებულება, მზარდი მოხმარება, სეზონური დეფიციტი ან ლოჯისტიკური სიახლოვე, რაც ქართულ ვაშლს კონკურენტულ უპირატესობას შესძენს შესაბამისი ხარისხისა და სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქართველოში წარმოებული ვაშლის ექსპორტის პოტენციურ და რეალურ ბაზრებად შეიძლება განხილულ იქნას:

- **საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები** – მაღალი იმპორტდამოკიდებულების მქონე ბაზრებია, ადგილობრივი წარმოება შეზღუდულია, მოთხოვნა სტაბილურად მაღალია ხარისხიან, ვიზუალურად მიმზიდველ ვაშლზე. საქართველოს ამ ბაზარზე გააჩნია გეოგრაფიული უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით;
- **ეგვიპტე** – მოსახლეობის მოცულობის და სეზონური დეფიციტის გამო წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორ ქვეყანას, სადაც მოთხოვნა ძირითადად საშუალო ფასის სეგმენტზეა კონცენტრირებული;
- **ინდოეთი** – ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი იმპორტიორი ბაზარია, განსაკუთრებით შემოდგომისა და ზამთრის თვეებში, თუმცა მკაცრი მოთხოვნებია ხარისხობრივი და ფიტოსანიტარული მიმართულებით;
- **უზბეკეთი და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები** – ქვეყნის ცნობადობა მაღალია, სადაც მოთხოვნა იზრდება მოსახლეობის ზრდის ფონზე.

თითოეული სამიზნე ბაზარი საჭიროებს ბიზნესის მხრიდან ინდივიდუალურ და სიღრმისეულ შესწავლას. ექსპორტიორმა კომპანიებმა თავად უნდა განსაზღვრონ მათთვის პრიორიტეტული ბაზრები, დაამყარონ პირდაპირი კომერციული კონტაქტები პოტენციურ პარტნიორებთან და დეტალურად გაეცნონ ბაზარზე შეღწევის მოთხოვნებს, მათ შორის ფიტოსანიტარულ, ხარისხობრივ, სერტიფიკაციის, ლოჯისტიკურ და საბაჟო რეგულაციებს. თავის მხრივ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელშემწყობი გარემოს შექმნას შესაბამისი განვითარების პროგრამების, სავაჭრო ხელშეკრულებების, ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ფიტოსანიტარული სისტემის გაძლიერების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ქართული ვაშლის წარმატებულ და მდგრად ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზრებზე.